ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. ვანი

02 მარტი 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ვარლამ შარაშენიძე - ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.

მამუკა ნამიჭეიშვილი- გამგეობის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, წევრი.

გიორგი ნამიჭეიშვილი - საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, წევრი.

ბესარიონ ახვლედიანი - გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი, წევრი.

დავით გაბუნია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

ვანდა გიორგაძე- საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, აპარატის წევრი.

მარინა ღვინიანიძე - ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, აპარატის წევრი-მდივანი.

დღის წესრიგი:

ვანის მუნიციპალიტეტის მიერ კონკურსის მეშვეობით შესყიდვის ობიექტის ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სალხინოს თემში, ჯვარისერის გადასახვევიდან სალხინოს მიმართულებით (ვანი სულორის საავტომობილო გზამდე) საავტომობილო გზის რეაბილიტაციის

შესასრულებელ სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის (ე/ნ 1480 20.02.2015წ) შედეგების განხილვა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრის მამუკა ნამიჭეიშვილის გამოსვლა, რომელმაც კომისიას აცნობა, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადაში (2015 წლის 25 თებერვალი 15:00სთ.) კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა.

1. შპს „ჯეო–როუდ"–ი

განიხილეს: კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დალუქული კონვერტის გახსნის შედეგად აღმოჩნდა, რომ შპს „ჯეო–როუდ"–ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია შეესაბამება საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დაადგინეს:

1) საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების მიზნით გამოცხადებულ კონკურსში (ე/ნ 1480 20.02.2015წელი) გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ჯეო–როუდ"–ი.

2) დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს, მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს მიენიჭოს სტატუსი გამარჯვებული გამოვლენილია.

კომისიის თავმჯდომარე: ვარლამ შარაშენიძე

კომისიის წევრები:

1. მამუკა ნამიჭეიშვილი
2. ზესარიონ ახვლედიანი
3. გიორგი ნამიჭეიშვილი
4. დავით გაბუნია

აპარატის წევრები:

1. ვანდა გიორგაძე
2. მარინა ღვინიანიძე